506. ულტრაბგერითი კვლევის მონაცემებით თირკმელზედა ჯირკვლის ლიმფომათი დაზიანების თავისებურებად ითვლება:

- ა) მრავლობითი კალცინატების არსებობა თირკმელზედა ჯირკვლის ქსოვილში
- ბ) არასწორკონტურებიანი, ჰიპერექტოგენური სიმსივნური მასის არსებობა, რომელსაც ცენტრში ანექოგენური ზონა აქვს
- *გ) სიმსივნის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი კისტოზური კომპონენტის არსებობა ლისგალური ფსევდოგადლიერებით

507. თირკმელების მწვავე უკმარისობა ხასიათდება შემდეგი ექოგრაფიული ნიშნებით:

- *ა) თირკმელების ზომების მომაგება და პარენქიმის გაქსელება
- ბ) თირკმელების ნორმალური ზომა და მენჯ-ფიალოვანი სისტემის მკვეთრად გაგანიერება
- გ) თირკმელების ზომის მომაგება და მენჯ-ფიალოვანი სისტემის ფართობის შეფარდებითი გაზრდა

508. წინამდებარე ჯირკვლის რომელი ზონა ითვლება ადენომის წყაროდ:

- ა) ცენტრალური
- ბ) პერიფერიული
- *გ) გარდამავალი

ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა მებნობაში

509. რეგულარული მენსტრუალური ციკლის მქონე პაციენტების ულტრაბგერით დასკვნაში მითითებული უნდა იქნას ორსულობის შემდეგი ვადა:

- *ა) სამეანო (ბოლო ნორმალური მენსტრუაციის პირველი დღე);
- ბ) ემბრიოლოგიური (ჩასახვის დღე).

510. საშვილოსნოს ორსულობის აღრეული დიაგნოსტიკა გრანსაბდომინალური ულტრაბგერითი კვლევით შესაძლოა:

- ა) ორსულობის 3 კვირიდან;
- ბ) 7 კვირიდან;
- *გ) 5-6 კვირიდან;
- დ) 8 კვირიდან.

511. ორსულობის აღრეულ ასაკში ულტრაბგერითი კვლევისას სავსე შარდის ბუშტი აუცილებელია:

- *ა) გრანსაბდომინალური მიდგომისას;
- ბ) გრანსვაგინალური მიდგომისას;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

512. გრანსვაგინალური კვლევით სანაყოფე კვერცხის აღრეული ვიზუალიზაცია საშვილოსნოს ღრუში შესაძლოა:

- ა) 5-6 კვირიდან;
- *ბ) 4-5 კვირიდან;
- გ) 2 კვირიდან;
- დ) 7 კვირიდან.

513. გრანსაბდომინალური ულტრაბგერითი კვლევით ემბრიონი ვიზუალიზირდება:

- *ა) 6-7 კვირიდან;

- ბ) 8-9 კვირიდან;
- გ) 9-10 კვირიდან;
- დ) 10-11 კვირიდან.

514. ნორმალურად მიმდინარე ორსულობის დროს გრანსაბდომინალური კვლევით ემბრიონის ვიზუალიზაცია აუცილებელია:

- ა) 5 კვირიდან;
- *ბ) 7 კვირიდან;
- გ) 9 კვირიდან.

515. ნორმალურად მიმდინარე ორსულობის დროს გრანსვაგინალური კვლევით ემბრიონის ვიზუალიზაცია აუცილებელია:

- *ა) 5-6 კვირიდან;
- ბ) 7 კვირიდან;
- გ) 3 კვირიდან.

516. გრანსაბდომინალური ულტრაბგერითი კვლევით ემბრიონის გულისცემის რეგისტრაცია შესაძლოა:

- *ა) 7 კვირიდან;
- ბ) 5 კვირიდან;
- გ) 8 კვირიდან.

517. ულტრაბგერითი კვლევით ემბრიონის მოძრაობითი აქტიურობა ვლინდება:

- *ა) 8 კვირიდან;
- ბ) 10 კვირიდან;
- გ) 12 კვირიდან;
- დ) 6 კვირიდან.

518. ულტრაბგერითი კვლევით ყვითრის პარკი ვიზუალიზაცია ორსულობის:

- ა) 4-10 კვირაზე;
- *ბ) 6-12 კვირაზე;
- გ) 9-14 კვირაზე;
- დ) 10-15 კვირაზე.

519. ულტრაბგერითი კვლევისას სანაყოფე კვერცხის ღიაფენი იზომება:

- *ა) შიდა კონტურზე;
- ბ) გარე კონტურზე;
- გ) ორმაგი ღეცილუალური გარსის შუა ნაწილიდან.

520. ორსულობის პირველ ტრიმესტრში ორსულობის ასაკის განსაზღვრაში ყველაზე ზუსტი ბიომეტრიული პარამეტრია:

- ა) სანაყოფე კვერცხის საშუალო ღიაფენი;
- *ბ) ემბრიონის თხემ-კულუსუნის ზომა;
- გ) საშვილოსნოს ზომები;
- დ) ემბრიონის თავის ბიპარამეტრიული ზომა.

521. ორსულობის პირველ ტრიმესტრში ემბრიონის გულისცემის პროგნოზულად ყველაზე არასახარბიელო მაჩვენებელია:

- ა) 140 ღარტყ/წთ-ზე ნაკლები;
- ბ) 160 ღარტყ/წთ-ზე ნაკლები;
- გ) 180 ღარტყ/წთ-ზე ნაკლები;
- *დ) 100 ღარტყ/წთ-ზე ნაკლები.

522. ორსულობის პირველ ტრიმესტრში გრანსაბდომინალური კვლევით რეტროქორიონული ჰემატომის ვიზუალიზაცია:

- *ა) შესაძლებელია;
- ბ) არ არის შესაძლებელი.

523. ორსულობის პირველ ტრიმესტრში აბორტის საშიშროების ულტრაბგერითი ნიშანია:

- ა) ემბრიონის გულისცემის არარსებობა;
- *ბ) მიომეტრიუმის ლოკალური გასქელება;
- გ) სანაყოფე კვერცხის ლოკალიზაცია საშვილოსნოს ღრუს შუა მესამედში;
- დ) ფორმის ცვლილება.

524. არაპროგრესირებადი ორსულობის აბსოლუტურ ულტრაბგერით ნიშანს წარმოადგენს:

- *ა) ემბრიონის გულისცემის არარსებობა;
- ბ) მიომეტრიუმის ლოკალური გასქელება;
- გ) სანაყოფე კვერცხის ლოკალიზაცია საშვილოსნოს ღრუს შუა მესამედში;
- დ) ფორმის ცვლილება.

525. არასრული აბორგის დამახასიათებელი ულტრაბგერითი ნიშანია:

- *ა) გაფართოებული საშვილოსნოს ღრუ მასში არაერთგვაროვანი ექოსტრუქტურების არსებობით;
- ბ) სანაყოფე კვერცხის პროლაბირება;
- გ) სანაყოფე კვერცხში ემბრიონის არარსებობა;
- დ) შიგნითა პირის ღიაბეჭტოს გაზრდა.

526. ორსულობის პირველ ტრიმესტრში ისთმურ-ცერვიკალური უკმარისობის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა შესაძლებელია:

- ა) 6 კვირის შემდეგ;
- *ბ) 10 კვირის შემდეგ;
- გ) 14 კვირის შემდეგ;
- დ) 8 კვირის შემდეგ.

527. ბუშტანამქერის ყველაზე დამახასიათებელ ულტრაბგერით სურათს წარმოადგენს:

- *ა) საშვილოსნოს ღრუში მრავლობითი არაერთგვაროვანი ღრუბლისებრი სტრუქტურების არსებობა;
- ბ) სანაყოფე კვერცხის არარსებობა;
- გ) საკვერცხეების ზომების გაზრდა;
- დ) ენდომეტრიუმის გამოსახულების არარსებობა.

528. ისთმურ-ცერვიკალური ნაკლოვანების სარწმუნო ულტრაბგერით ნიშანს წარმოადგენს:

- ა) საშვილოსნოს ისთმურ ნაწილში მიომეტრიუმის ლოკალური გასქელება;
- ბ) ცერვიკალური არხის ღიაბეჭტი აღემატება 3 მმ-ს;
- გ) სანაყოფე კვერცხის დეფორმაცია;
- *დ) საშვილოსნოს ყელის შიგნითა პირის ძაბრისებრი გაფართოება.

529. გრანსვაგინალური სკანირებით ნაყოფის შარდის ბუშტის ვიზუალიზაცია შესაძლებელია:

- *ა) 10 კვირიდან;
- ბ) 7 კვირიდან;
- გ) 13 კვირიდან;
- დ) 16 კვირიდან.

530. გრანსაბდომინალური ულტრაბგერითი კვლევისას ემბრიონის თავი ვიზუალიზდება:

- ა) 6 კვირიდან;
- *ბ) 8-9 კვირიდან;
- გ) 11 კვირიდან;
- დ) 13 კვირიდან.

531. გრანსაბდომინალური კვლევისას ემბრიონის კიდურები ვიზუალიზდება:

- ა) 6 კვირიდან;
- *ბ) 10 კვირიდან;
- გ) 14 კვირიდან.

532. გრანსაბდომინალური კვლევით თავის ტვინის შუამღებარე სტრუქტურების გამოვლენა შესაძლებელია:

- ა) 10 კვირიდან;
- *ბ) 13 კვირიდან;
- გ) 16 კვირიდან.

533. ანენცეფალის დიაგნოსტიკა ორსულობის პირველ ტრიმესტრში:

- *ა) შესაძლებელია;
- ბ) არ არის შესაძლებელი.

534. ლიმენცეფალის დიაგნოსტიკა ორსულობის პირველ ტრიმესტრში:

- ა) შესაძლებელია;
- *ბ) არ არის შესაძლებელი.

535. ორსულობის პირველი ტრიმესტრის ბოლოს გრანსვაგინალური ულტრაბგერითი კვლევით ნაყოფის მუცლის წინა კედლის განვითარების ანომალიების დიაგნოსტიკა შესაძლებელია:

- ა) 8 კვირიდან;
- ბ) 9 კვირიდან;
- გ) 10 კვირიდან;
- *დ) 14 კვირიდან.

536. ორსულობის პირველი ტრიმესტრის ბოლოს ამელიის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა:

- *ა) შესაძლებელია;
- ბ) არ არის შესაძლებელი.

537. ორსულობის 12 კვირაზე ემბრიონის გული ნორმაში:

- ა) ორკამერიანია;
- ბ) სამკამერიანია;
- *გ) ოთხკამერიანია.

538. საშვილოსნოს ღრუში ცრუ სანაყოფე კვერცხის აღმოჩენის შემთხვევაში ეჭვი უნდა მივიტანოთ:

- ა) ანემბრიონიაზე;
- *ბ) საშვილოსნოს გარე ორსულობაზე;
- გ) რეგროქორიონულ ჰემატომაზე.

539. თუ ტრანსვაგინალური ულტრაბგერითი კვლევით ორსულობის 12 კვირაზე ემბრიონის სტრუქტურული ანომალიები არ ვლინდება, ორსულობის მეორე ტრიმესტრში განმეორებითი სკრინინგული კვლევის ჩატარება:

- *ა) აუცილებელია;
- ბ) არ არის აუცილებელი.

540. ფეტომეტრისათვის აუცილებელ პარამეტრებს განეკუთვნება:

- ა) თავის ბიპარიეტული ზომა, გულმკერდის საშუალო დიამეტრი, მხრის ძვლის სიგრძე;
- ბ) თავის ბიპარიეტული და შუბლ-კეფის ზომა, მუცლის საშუალო დიამეტრი, ტერფის სიგრძე;
- *გ) თავის ბიპარიეტული ზომა, მუცლის საშუალო დიამეტრი ან გარშემოწერილობა, ბარძაყის ძვლის სიგრძე.

541. ბარძაყის ძვლის სიგრძის თავის ბიპარიეტულ ზომასთან შეფარდების ნორმატიული მაჩვენებელია:

- ა) 50-60%;
- ბ) 65-90%;
- გ) 65-70%;
- *დ) 71-87%;

542. ცეფალური ინდექსის ნორმატიული მაჩვენებელი მერყეობს:

- ა) 30-40%;
- ბ) 40-55%;
- *გ) 70-86%;

543. ულტრაბგერითი კვლევისას ნაყოფის თავის ბიპარიეტული ზომა ისაზღვრება:

- *ა) საფეთქლის ძვლების გარე და შიდა კონტურებს შორის;
- ბ) საფეთქლის ძვლების გარეთა კონტურებს შორის;
- გ) საფეთქლის ძვლების შიდა კონტურებს შორის;
- დ) საფეთქლის ძვლების ყველაზე მკაფიოდ ვიზუალიზებად კონტურებს შორის.

544. ულტრაბგერითი კვლევისას ნაყოფის თავის ბიპარიეტული ზომა ისაზღვრება:

- ა) ნათხემის ჰემისფერობის ღონეზე;
- ბ) თვალბუდის ღონეზე;
- *გ) ოთხგორაკის და გამჭვირვალე ძგიდის ღრუს ღონეზე;
- დ) გვერდითი პარაკუჭების საფეთქლის რქების ღონეზე;

545. ნაყოფის ბარძაყის ძვლის ზუსტი გამომვისათვის ულტრაბგერითი გადამწოლი უნდა მოთავსდეს:

- *ა) ბარძაყის ძვლის მიმართ სწორი კუთხით;
- ბ) ბლაგვი კუთხით;
- გ) კუთხეს არ აქვს მნიშვნელობა.

546. მუცლის საშუალო დიამეტრის და გარშემოწერილობის გასაზომ ძირითად ორიენტირს წარმოადგენს:

- ა) კუჭი;
- ბ) თირკმლები;
- *გ) ჭიპლარის ვენა;
- დ) თირკმელზედა ჯირკვლები;
- ე) ელენთა.

547. ნაყოფის მუცელშიდა განვითარების შეფერხების სიმეტრიული ფორმის დამახასიათებელი ნიშანია:

- ა) ძირითადი ფეტომეტრიული მაჩვენებლების არაპროპორციული ჩამორჩენა;
- *ბ) ძირითადი ფეტომეტრიული მაჩვენებლების პროპორციული ჩამორჩენა.

548. ნაყოფის მუცელშიდა განვითარების შეფერხების ასიმეტრიული ფორმისათვის დამახასიათებელია:

- *ა) ძირითადი ფეტომეტრიული მაჩვენებლების არაპროპორციული ჩამორჩენა;
- ბ) ძირითადი ფეტომეტრიული მაჩვენებლების პროპორციული ჩამორჩენა.

549. ორსულობის მესამე ტრიმესტრში პლაცენტის დაბალი მიმაგრების ულტრაბგერითი კრიტერიუმია მის ქვედა კიდე და საშვილოსნოს შიგნითა პირს შორის დაცილება:

- ა) 3 სმ-ზე ნაკლები;
- ბ) 5 სმ-ზე ნაკლები;
- *გ) 7 სმ-ზე ნაკლები;
- დ) 10 სმ-ზე ნაკლები.

550. პლაცენტის წინამდებარეობის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა წარმოებს:

- ა) დაცლილ შარდის ბუშტზე;
- ბ) გადავსებულ შარდის ბუშტზე;
- *გ) ზომიერად ავსებულ შარდის ბუშტზე;
- დ) შარდის ბუშტის ავსების ხარისხს არ აქვს მნიშვნელობა.

551. პლაცენტის წინამდებარეობის დამახასიათებელი ულტრაბგერითი სურათია:

- *ა) საშვილოსნოს ყელის შიგნითა პირის მიდამოში პლაცენტური ქსოვილის არსებობა;
- ბ) გაგანიერებული საშვილოსნოს ყელის შიგნითა პირი;
- გ) პლაცენტის მიმაგრება ყელზე, უშუალოდ საშვილოსნოს შიგნითა პირთან.

552. გასქელებული პლაცენტა უხშირესად ვლინდება:

- *ა) ნაყოფის წყალშანკის დროს;
- ბ) დენდი-უოკერის სინდრომის დროს;
- გ) ამნიონური ჭიმების სინდრომის დროს;
- დ) თირკმლების აგენეზიის დროს.

553. ულტრაბგერითი კვლევისას პლაცენტის სისქე იზომება:

- ა) ჭიპლარის მიერთების ადგილას;
- ბ) ყველაზე თხელ მიდამოში;
- *გ) არ აქვს პრინციპული მნიშვნელობა.

554. პლაცენტის ნაადრევი აცლის ულტრაბგერითი კრიტერიუმია:

- *ა) საშვილოსნოს კედელსა და პლაცენტას შორის ექონეგაგიური სივრცის არსებობა;
- ბ) პლაცენტის გასქელება;
- გ) პლაცენტის ნაადრევი მომწიფება;
- დ) პლაცენტაში "შავი ლაქების" არსებობა.

555. პლაცენტის ნაადრევი "დაბერების" დიაგნოზი ისმება სიმწიფის მესამე ხარისხის გამოვლენისას:

- *ა) 36 კვირამდე;
- ბ) 38 კვირამდე;
- გ) 40 კვირამდე;
- დ) 37 კვირის შემდეგ.

556. პლაცენტის ნაადრევი "დაბერების" ულტრაბგერითი დიაგნოზი ისმება მისი სიმწიფის მეორე ხარისხის გამოვლენისას:

- ა) 36 კვირამდე;
- ბ) 34 კვირამდე;
- *გ) 32 კვირამდე;
- დ) 37 კვირამდე.

557. გადამწიფებული ორსულობისათვის დამახასიათებელია პლაცენტის სიმწიფის პირველი ხარისხის არსებობა:

- ა) ღია;
- *ბ) არა;
- გ) ღია, თუ ამასთან ვლინდება მცირეწყლიანობა;

558. ნორმაში ჭიპლარის შემადგენლობაში შედის:

- *ა) ორი არტერია და ერთი ვენა;
- ბ) ორი ვენა და ერთი არტერია;
- გ) ორი არტერია და ორი ვენა.

559. ჭიპლარის კისტების შიგთავსი უხშირესად:

- *ა) კისტოზურია;
- ბ) კისტოზურ-სოლიდურია;
- გ) სოლიდურია;
- დ) კისტოზურ-სოლიდურია სოლიდური კომპონენტის სიჭარბით.

560. ჭიპლარის კისტები უხშირესად ერწყმის:

- ა) ანენცეფალიას;
- ბ) შარდ-სასქესო სისტემის ანომალიებს;
- *გ) ქრომოსომულ აბერაციებს;
- დ) პლაცენტის წინამდებარეობას.

561. მცირეწყლიანობის დროს უხშირესად დიაგნოსტიკურდება შემდეგი ორგანოთა სისტემის განვითარების ანომალიები:

- ა) გულ-სისხლძარღვთა;
- ბ) კუჭ-ნაწლავის;
- *გ) შარდის გამომყოფი;
- დ) მუცლის წინა კედლის.

562. ჭარბწყლიანობა ხშირად ერწყმის:

- *ა) წერილი ნაწლავის ატრეზიას;
- ბ) თირკმლების ორმხრივ აგენეზიას;
- გ) პლაცენტის ნაადრევ მომწიფებას;
- დ) ნაყოფის მუცლადყოფნის განვითარების შეფერხებას.

563. ნაყოფის განვითარების ანომალიების გამოსავლენად სკრინინგული ულტრაბგერითი კვლევის ჩატარების ოპტიმალური ვადაა:

- *ა) 16-22 კვირა;
- ბ) 23-27 კვირა;
- გ) 28-32 კვირა;
- დ) 11-15 კვირა.

564. ნაყოფის მუცლად ყოფნის პერიოდში სიკვდილის ძირითადი ულტრაბგერითი კრიტერიუმებია:

- *ა) ნაყოფის გულისცემის არარსებობა;
- ბ) ნაყოფის მოძრაობითი აქტიურობის არარსებობა;
- გ) ნაყოფის სუნთქვითი მოძრაობის არარსებობა;
- დ) თავის გვინის სტრუქტურების ცვლილება.

565. თავის გვინის დიდი ცისტერნა ულტრაბგერითი კვლევით ვლინდება:

- ა) ქალას წინა ორმოში;
- ბ) ქალას შუა ორმოში;
- *გ) ქალას უკანა ორმოში;
- დ) შუა და უკანა ორმოს საზღვარზე.

566. პარაკუჭ-ჰემისფეროს ინდექსი წარმოადგენს:

- *ა) გვერდითი პარაკუჭის სხეულის სიგანის შეფარდებას ბიპარიეტული ზომის ნახევართან;
- ბ) გვერდითი პარაკუჭის სხეულის სიგანის შეფარდებას ბიპარიეტულ ზომასთან;
- გ) გვერდითი პარაკუჭების სხეულების სიგანის შეფარდებას ბიპარიეტულ ზომასთან;
- დ) გვერდითი პარაკუჭების სხეულების სიგანის შეფარდებას ბიპარიეტული ზომის ნახევართან.

567. გამჭვირვალე გიხრის დრუ ვიზუალიზაცია როგორც:

- *ა) ანექოგენური წარმონაქმნი გვერდითი პარაკუჭების შუბლის რქებს შორის;
- ბ) ჰიპერექოგენური შუალედური წარმონაქმნი;
- გ) ანექოგენური წარმონაქმნი მხედველობის ბორცვებს შორის;
- დ) ანექოგენური წარმონაქმნი ქალას უკანა ფოსოში.

568. ნაყოფის თავის გვინის გვერდითი პარაკუჭების სისხლძარღვოვანი წნული გრანსაბლომინალური ულტრაბგერითი კვლევით მკაფიოდ ვლინდება:

- ა) 12 კვირის ასაკში;
- *ბ) 16 კვირის ასაკში;
- გ) 20 კვირის ასაკში;
- დ) 24 კვირის ასაკში.

569. "ლიმონის" და "ბანანის" ულტრაბგერითი ნიშანი დამახასიათებელია:

- ა) გარეთა ჰიდროცეფალიისთვის;
- *ბ) ხერხემლის გახლეჩა (გაორებისთვის);
- გ) ქალა-გვინის თიაქრისთვის;
- დ) მიკროცეფალიისთვის;
- ე) ჰიდროცეფალიისთვის.

570. დაუნის სინდრომის სავარაუდო ულტრაბგერითი ნიშანია კისრის ნაოჭის გასქელება:

- ა) 3 მმ-ზე მეტად;

- ბ) 4 მმ-ზე მეტად;
- გ) 5 მმ-ზე მეტად;
- *დ) 6 მმ-ზე მეტად.

571. თავის გვინის წყალსაღების სტენობის ძირითადი ულტრაბგერითი კრიტერიუმია:

- *ა) გვერდითი და მესამე პარაკუჭის გაგანიერება;
- ბ) სუბარაქნოიდული სივრცის გაგანიერება;
- გ) კისტოზური წარმონაქმნის არსებობა ქალას უკანა ფოსოში;
- დ) თავის გვინის შუა სტრუქტურის არარსებობა.

572. ნაყოფის თავის ორმაგი კონტური დამახასიათებელია:

- ა) ანენცეფალიისთვის;
- *ბ) ნაყოფის არაიმუნური წყალმანკისთვის;
- გ) მიკროცეფალიისთვის;
- დ) აკრანისთვის.

573. გარეთა ჰიდროცეფალიის ძირითადი ულტრაბგერითი კრიტერიუმია:

- ა) მესამე და გვერდითი პარაკუჭების გაგანიერება;
- *ბ) სუბარაქნოიდული სივრცის გაგანიერება;
- გ) კისტოზური წარმონაქმნის არსებობა ქალას უკანა ფოსოში;
- დ) თავის გვინის შუა სტრუქტურის არარსებობა.

574. ღენდი-უოკერის სინდრომის ძირითადი ულტრაბგერითი კრიტერიუმია:

- ა) მესამე და გვერდითი პარაკუჭების გაგანიერება;
- ბ) სუბარაქნოიდული სივრცის გაგანიერება;
- *გ) კისტოზური წარმონაქმნის არსებობა ქალას უკანა ფოსოში;
- დ) ზურგის გვინის თიაქარი.

575. მიუთითეთ ანენცეფალიის ძირითადი ულტრაბგერითი კრიტერიუმები:

- ა) თავის ბიპარიეტული და შუბლ-კეფის ზომების გამოხატული შემცირება;
- *ბ) თავის გვინის ჰემისფეროების და ქალას არარსებობა.

576. მენინგოცეფალოცელეს დროს ქალა-გვინის თიაქრის შემადგენლობაში შედის:

- ა) გვინის ქსოვილი, მენინგიალური გარსები, ლიქტორი;
- ბ) მხოლოდ გვინის გარსი;
- *გ) გვინის ქსოვილი და მენინგიალური გარსები;
- დ) გვინის ქსოვილი და ლიქტორი.

577. ქალა-გვინის თიაქარი უხშირესად ლოკალიზდება:

- ა) საფეთქლის მიდამოში;
- *ბ) კეფის მიდამოში;
- გ) შუბლის მიდამოში.

578. მეკელის სინდრომში შედის:

- *ა) ქალა-გვინის თიაქარი და თირკმლების პოლიკისტოზი;
- ბ) ქალა-გვინის თიაქარი და ღვიძლის კისტა;
- გ) ქალა-გვინის თიაქარი და ურახუსის კისტა;
- დ) ქალა-გვინის თიაქარი და საკვერცხის კისტა;
- ე) ქალა-გვინის თიაქარი და პოლისპლენია.

579. ანენცეფალიის აკრანისაგან განმასხვავებელი ძირითადი ნიშანია:

- ა) ქალა-სარქელის ძვლების არარსებობა;
- *ბ) თავის გვინის დიდი ჰემისფეროების არარსებობა;
- გ) გვინის ღეროს არარსებობა;
- დ) ნათხემის და ზოლიანი სხეულის არარსებობა.

580. გამოხატული ჰიდროცეფალიის და ჰიდროანენცეფალიის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია:

- ა) ვენტრიკულომეგალიის ხარისხი;
- ბ) უკანა ფოსოში დიდი კისტის არსებობა;
- *გ) თავის გვინის დიდი ჰემისფეროების არარსებობა;
- დ) დიდი ზომის, საერთო, ცენტრალურად განლაგებული პარაკუჭის არსებობა.

581. მიკროცეფალიის ყველაზე დამახასიათებელი ულტრაბგერითი კრიტერიუმია:

- ა) თავის ბიპარიეტული ზომის რიცხობრივი მაჩვენებლების შემცირება;

- *ბ) ბარდაყის ძელის სიგრძის თავის შემოწერილობასთან შეფარდების რიცხოვრივი მაჩვენებლის გაზრდა;
- გ) თავისა და მუცლის გარშემოწერილობის შეფარდების რიცხოვრივი მაჩვენებლის გაზრდა;
- დ) ცეფალური ინდექსის რიცხოვრივი მაჩვენებლის შემცირება 75%-ზე მეტად.

582. ჰოლოპროზენცეფალიის (წილის განუვითარებლობის) ულტრაბგერით ნიშნებს მიეკუთვნება:

- *ა) საერთო, ცენტრალურად განლაგებული პარაკუჭის არსებობა, თავის გვინის შუა სტრუქტურის არარსებობის ფონზე;
- ბ) ორმხრივი ქალასშილა კისტების არსებობა, რომლებიც უერთდება გვერდით პარაკუჭებს;
- გ) ნახევარსფეროებისა და ნათხემის ჭიის გამოხატული ჰიპოპლაზია;
- დ) ღილი ჰემისფეროების მრავლობითი კისტები.

583. ჰოლოპროზენცეფალია უხშირესად ერწყმის განვითარების ანომალიებს:

- ა) გულის;
- ბ) თირკმლების;
- გ) კიბურების;
- *დ) სახის.

584. ზოლიანი სხეულის აგენეზია უხშირესად ერწყმის:

- *ა) დენდი-უოკერის სინდრომს;
- ბ) მეკელის სინდრომს;
- გ) პორენცეფალიას;
- დ) არაქნოიდულ კისტებს.

585. ლისენცეფალიის დიაგნოსტიკური კრიტერიუმია:

- ა) გვინის ნამგლის არარსებობა;
- ბ) ნათხემის არარსებობა;
- გ) მხედველობის ბორცვების არარსებობა;
- დ) ღილი ცისტერნის არარსებობა;
- *ე) გვინის ნახევარსფეროების ხეკულების არარსებობა.

586. მაგარი სახის და ზედა ტუჩის გახლეჩვის პრენატალური ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა ფერადი დოპლერგრაფიის გარეშე:

- *ა) შესაძლებელია;
- ბ) შეუძლებელია.

587. შPINA BIFIDA ჩY შიჩჩA-ს და შLINA BIFIDA OჩჩULA-ს პრენატალური ულტრაბგერითი დიფერენციალური დიაგნოზის მძებრა შემდეგი ნიშნის მიხედვით:

- *ა) ხერხემლის ლეფექტის მიდამოში თიაქრის არსებობა;
- ბ) ხერხემლის ლეფექტი;
- გ) თიაქრის შიგთავსი;
- დ) თიაქრის ზომები და ლოკალიზაცია.

588. ჰიპერტელორიზმი ხასიათდება შემდეგი ულტრაბგერითი სურათით:

- ა) თვალის კაკლებს შორის მანძილის შემცირება;
- *ბ) თვალის კაკლებს შორის მანძილის გაზრდა;
- გ) ყურის ნიჟარებს შორის მანძილის შემცირება;
- დ) ყურის ნიჟარებს შორის მანძილის გაზრდა.

589. არინია დიაგნოსტიკურად:

- ა) ყურის ნიჟარების არარსებობით;
- ბ) თვალის კაკლების არარსებობით;
- გ) ენის არარსებობით;
- *დ) ცხვირის არარსებობით.

590. ემბრიონის კისრის მიდამოს გამოხატული შეშუპება ორსულობის პირველ ტრიმესტრში მეტყველებს:

- ა) ხერხემლის გახლეჩვაზე (გაორება);
- ბ) კისრის მიდამოს სიმსივნეზე;
- *გ) ქრომოსომულ აბერაციებზე;
- დ) პირველი ტრიმესტრის ბოლოსათვის კისრის მიდამოს შეშუპება წარმოადგენს ემბრიონის ნორმალურ ანაგომიას.

591. ემბრიონის კისრის მიდამოში შეშუპება პათოლოგიურია, როცა მისი წინა-უკანა ზომა აღემატება:

- ა) 1 მმ-ს;
- ბ) 2 მმ-ს;
- *გ) 3 მმ-ს;
- დ) 5 მმ-ს.

592. კისრის გიგრომის გიპური ულტრაბგერითი გამოსახულებაა:

- *ა) მრავალკამერიანი წარმონაქმნი;
- ბ) ერთკამერიანი წარმონაქმნი;
- გ) სოლიდური წარმონაქმნი;
- დ) კისტოზურ-სოლიდური წარმონაქმნი.

593. ორსულობის მესამე ტრიმესტრში ნაყოფის ღვიძლის ექოგენობის პრევალირება ფილტვის ექოგენობაზე მიუთითებს:

- ა) ფილტვის ქსოვილის სიმწიფეზე;
- *ბ) ფილტვის ქსოვილის უმწიფრობაზე;
- გ) მუცელშიდა ინფიცირებაზე;
- დ) ფილტვის ქსოვილის ჰიპოპლაზიაზე.

594. ღიაფრაგმული თიაქრის პრენატალური ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა:

- *ა) შესაძლებელია;
- ბ) შეუძლებელია;
- გ) შესაძლებელია მხოლოდ ორსულობის მესამე ტრიმესტრში.

595. თანდაყოლილი ღიაფრაგმული თიაქრის დროს ნაყოფის გულმკერდის დრუში ერთკამერიანი ანექოგენური წარმონაქმნის ვიზუალიზაცია შეესაბამება:

- ა) ნაწლავს;
- *ბ) კუჭს;
- გ) ღვიძლს;
- დ) ელენთას;
- ე) თირკმლებს.

596. ცალმხრივი ჰიდროთორაქსის ექოგრაფიული კრიტერიუმია:

- ა) ფილტვის ქსოვილში ჰიპოექოგენური კისტოზური ჩანართების არსებობა;
- ბ) გულმკერდის დრუში მრავალკამერიანი კისტოზური წარმონაქმნის არსებობა;
- *გ) დაზიანების მხარეს, პლევრის დრუში ანექოგენური შიგთავსის არსებობა;
- დ) დაზიანების მხარეს ფილტვის ექოგენობის დაქვეითება.

597. ნაყოფის თავით წინამდებარეობის დროს გულმკერდის განივი კვეთისას გული ლოკალიზდება:

- ა) წინა მარჯვენა კვადრანტში;
- *ბ) წინა მარცხენა კვადრანტში;
- გ) უკანა მარჯვენა კვადრანტში;
- დ) უკანა მარცხენა კვადრანტში.

598. სკრინინგული ულტრაბგერითი კვლევისას ნაყოფის გულის კვლევისათვის საჭიროა შემდეგი ჭრილი:

- ა) მარცხენა პარაკუჭის მოკლე ღერძზე;
- ბ) ფილტვის ღერძზე გამავალი;
- გ) აორტის რკალზე გამავალი;
- *დ) ოთხკამერიან ჭრილზე გამავალი;

599. ნაყოფის გულის ძვილე ნორმაში მდებარეობს საგიგალურად შემდეგი კუთხით:

- ა) 10 გრადუსი;
- *ბ) 30 გრადუსი;
- გ) 90 გრადუსი;
- დ) 120 გრადუსი.

600. გულის განივი ჭრილის ფართობი ნორმაში არ აღემატება გულმკერდის დრუს ფართობის:

- ა) 1/6-ს;
- ბ) 1/5-ს;
- გ) 1/4-ს;
- *დ) 1/3-ს.

601. პერიკარდიალურ გამონაქონად ითვლება ჰიპოექოგენური ზონა სახით პერი- და მيوკარდიუმს შორის, რომლის სისქე აღემატება:

- *ა) 2 მმ-ს;
- ბ) 4 მმ-ს;
- გ) 5 მმ-ს;
- დ) 6 მმ-ს.

602. პარაკუჭთაშუა ძვილის დეფექტის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა:

- *ა) შესაძლებელია;

- ბ) არ არის შესაძლებელი;
- გ) შესაძლებელია დიდი ზომის მემბრანული ლეფექტის შემთხვევაში;
- დ) შესაძლებელია მხოლოდ ორივე პარკუჭის დილატაციის შემთხვევაში;
- ე) შესაძლებელია მხოლოდ ფერადი ლოპლერგრაფიით.

603. ებშეინის ანომალიის პრენატალურ ექოგრაფიულ კრიტერიუმს წარმოადგენს:

- ა) ერთკამერიანი გული ორი აგრიოვენტრიკულური სარქველით;
- ბ) აორტის კოარქტაცია შერწყმული პარკუჭთაშუა ძგიდის ლეფექტთან;
- *გ) სამკარიანი სარქველის კარელების გადანაცვლება მარჯვენა პარკუჭის სიღრმეში და დიდი მარჯვენა წინაგული;
- დ) გამოხატული ჰიპოპლაზია ან მარჯვენა პარკუჭის მთავარი დიდი არარსებობა.

604. ნაყოფის ლექსტროკარდია უზშირესად გამოწვეულია:

- ა) მიგრალური სისხლძარღვების გრანსპოზიციით;
- ბ) ფილტვის ვენების ანომალური მიერთებით;
- გ) საყლაპავის აგრემიით;
- *დ) ღიაფრაგმული თიაქრით.

605. ერთიანი წინაგულ-პარკუჭოვანი არხის სრული ფორმის ექოგრაფიულ კრიტერიუმებს წარმოადგენს:

- ა) გულის ორივე პარკუჭის ჰიპოპლაზია;
- ბ) მიგრალური სარქველის აგრემია და წინაგულთაშუა ძგიდის ლეფექტი;
- *გ) წინაგულთაშუა ძგიდის ქვემო და პარკუჭთაშუა ძგიდის მემო ნაწილის ლეფექტი;
- დ) აორტის კოარქტაცია და პარკუჭთაშუა ძგიდის ლეფექტი.

606. ნაყოფის გულის სიმსივნეებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება:

- *ა) რაბდომიომა;
- ბ) პერიკარდიალური ტერატომა;
- გ) ფიბრომა;
- დ) მიქსომა.

607. ნაყოფის ღიაფრაგმული თიაქრის ექოგრაფიული ნიშნებია:

- ა) მუცლის ღრუს ორგანოების ვიზუალიზაცია გულმკერდის ღრუში;
- ბ) ლექსტროკარდია;
- გ) ჭარბწყლიანობა;
- *დ) ყველა პასუხი სწორია.

608. ნაყოფის საყლაპავის აგრემიის დიაგნოზს კუჭის ჩრდილის ვიზუალიზაცია:

- ა) გამორიცხავს;
- *ბ) არ გამორიცხავს.

609. საყლაპავის აგრემიისთვის (ტრაქეა-საყლაპავის ხვრელ-მილის გარეშე) დამახასიათებელია:

- *ა) ჭარბწყლიანობა;
- ბ) მცირეწყლიანობა;
- გ) სანაყოფე წყლების ნორმალური რაოდენობა.

610. ნაყოფის თორმეგჯოჯა ნაწლავის აგრემიისათვის ულტრაბგერითი კვლევისას დამახასიათებელია:

- ა) მსხვილი ნაწლავის მარყუქების გაფართოება;
- ბ) ასციტი;
- *გ) ორმაგი ბუშტი მუცლის ღრუში;
- დ) მცირეწყლიანობა.

611. პრენატალური დიაგნოსტირებული თორმეგჯოჯა ნაწლავის აგრემიის შემთხვევაში 21-ე ქრომოსომის გრისომიის ალბათობა:

- *ა) მაღალია;
- ბ) არ არის მაღალი.

612. ომფალოცელესათვის თიაქრის პარკის არსებობა:

- *ა) დამახასიათებელია;
- ბ) არ არის დამახასიათებელი.

613. გასტრომიომისის პრენატალურ ულტრაბგერით დიაგნოსტიკურ ნიშანს წარმოადგენს:

- ა) კუჭის ზომების გაზრდა;
- ბ) კუჭის ზომების შემცირება;
- გ) მუცლის ღრუს ორგანოების ევენტრაცია თიაქრის პარკში;
- *დ) მუცლის ღრუს ორგანოების ევენტრაცია თიაქრის პარკის გარეშე;

ე) კუჭის ჩრდილის არარსებობა.

614. გასტრომიომისის დროს ქრომოსომული აბერაციები აღინიშნება:

- ა) ხშირად;
- *ბ) იშვიათად.

615. გრანსაბლომინალური ულტრაბგერითი კვლევით ნაყოფის თირკმლების ვიზუალიზაცია შესაძლებელია:

- ა) 12 კვირიდან;
- *ბ) 16 კვირიდან;
- გ) 20 კვირიდან;
- დ) 24 კვირიდან;

616. ნაყოფის თირკმლისა და ხერხემლის უბნის განივი კვეთის ფართობი ნორმაში არ აღემატება მუცლის განივი კვეთის ფართობის:

- ა) 1/2-ს;
- *ბ) 1/3-ს;
- გ) 1/5-ს;
- დ) 1/6-ს.

617. საშუალო კლასის ულტრაბგერით სკანერებზე შეუცვლელი შარდსაწვეთები ვიზუალიზდება:

- ა) დაკლაკნილი ანექოგენური მილაკოვანი წარმონაქმნის სახით;
- ბ) წყრილი ჰიპერექოგენური წარმონაქმნის სახით;
- გ) 5 მმ დიამეტრის ჰიპოექოგენური წარმონაქმნის სახით;
- *დ) არ ვიზუალიზდება.

618. ნაყოფის შარდის ბუშტის ვიზუალიზაცია გრანსაბლომინალური ულტრაბგერითი კვლევით შესაძლებელია:

- ა) ორსულობის 10 კვირიდან;
- ბ) 12 კვირიდან;
- *გ) 14 კვირიდან;
- დ) 20 კვირიდან;
- ე) 22 კვირიდან.

619. ნაყოფის კუჭის ჩრდილის არარსებობა ორსულობის მეორე ტრიმესტრში უხშირესად თან სდევს:

- ა) ლიფრაგმულ თიაქარს;
- *ბ) საყლაპავის ატრეზიას;
- გ) კარდიოსპლენარულ სინდრომს;
- დ) მსხვილი ნაწლავის ატრეზიას.

620. "ორმაგი ბუშტის" ულტრაბგერითი ნიშანი ყველაზე დამახასიათებელია:

- ა) თირკმლების პოლიკისტოზისთვის;
- ბ) საყლაპავის ატრეზიისთვის;
- გ) საკვერცხის კისტოზისთვის;
- *დ) თორმეტგოჯა ნაწლავის ატრეზიისთვის;
- ე) ორმხრივი ჰიდრონეფროზისთვის.

621. ჰიპერექოგენური გაღივებული თირკმლების არსებობა უხშირესად დამახასიათებელია:

- *ა) ინფანტილური ტიპის თირკმლების პოლიკისტოზური დაავადებისთვის;
- ბ) თირკმლების მულტიკისტოზური დაავადებისთვის;
- გ) ორმხრივი ჰიდრონეფროზისთვის;
- დ) უკანა ურეთრალური სარქველისათვის.

622. ნიშანი, რომელიც არ შეესაბამება ნაყოფის წყალმანკის ულტრაბგერით სურათს:

- ა) ჰიდროპერიკარდიუმი;
- ბ) ჰიდროთორაქსი;
- გ) ასციტი;
- *დ) ჰიდროცეფალია;
- ე) კანქვეშა შეშუპება.

623. ასციტის ულტრაბგერითი ლიაგნოსტიკის კრიტერიუმია ნაყოფის მუცლის დრუში ექონეგაგიური სივრცის არსებობა, რომლის სისქე აღემატება:

- ა) 1 მმ-ს;
- ბ) 2 მმ-ს;
- გ) 3 მმ-ს;
- დ) 4 მმ-ს;

*ე) 5 მმ-ს.

624. გასქელებული პლაცენტა ითვლება ნაყოფის წყალმანკის ულტრაბგერით ნიშნად:

ა) ღია;

ბ) არა;

*გ) მხოლოდ კანქვეშა შეშუპებასთან, ასციტთან და ჰიდროთორაქსთან ერთად.

625. ჩონჩხის დისპლაზიისთვის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკისას არ არის დამახასიათებელი:

ა) კიდეების ძვლების მომების შემცირება;

ბ) გულმკერდის ღრუს დეფორმაცია;

*გ) შუკლის მომების შემცირება;

დ) ნაყოფის მოძრაობითი აქტიურობის შემცირება;

626. კიდეების დამოკლების რომელი ტიპია დამახასიათებელი აქონდროგენეზისთვის:

ა) რიზომელიური

ბ) მეზომელიური;

*გ) მიკრომელიური;

დ) აკრომელიური.

627. კიდეების დამოკლების რომელი ტიპია დამახასიათებელი განატროფორმული დისპლაზიისთვის:

*ა) რიზომელიური;

ბ) მეზომელიური;

გ) მიკრომელიური;

დ) აკრომელიური.

628. გრძელი ლულოვანი ძვლების გამრუდება დამახასიათებელია:

ა) აქონდროპლაზიისთვის;

*ბ) კამპომელიური დისპლაზიისთვის;

გ) თანდაყოლილი მრავლობითი ართროგრიპოზისთვის.

629. მიუთითეთ მრავალნაყოფიანი ორსულობის ყველაზე ხშირი ტიპი:

ა) მონოქორიონული, მონოამნიონური;

*ბ) დიქორიონული, მონოამნიონური;

გ) დიქორიონული, დიამნიონური;

დ) მონოქორიონული, დიამნიონური.

630. როცა ულტრაბგერითი კვლევით ვლინდება ერთი პლაცენტა და ამნიონური ძგიდე, ეს მიუთითებს მრავალნაყოფიანი ორსულობის შემდეგ ტიპზე:

ა) მონოქორიონულ, მონოამნიონურ;

ბ) დიქორიონულ, მონოამნიონურ;

გ) დიქორიონულ, დიამნიონურ;

*დ) მონოქორიონულ, დიამნიონურ.

631. პიგოპაგი დიაგნოსტიკურდება გყუპების შერწყმისას:

ა) კრანიალურ მიდამოში;

ბ) თორაკალურ მიდამოში;

გ) აბდომინალურ მიდამოში;

*დ) ლუნდულების მიდამოში.

632. კრანოპაგი დიაგნოსტიკურდება გყუპების შერწყმისას:

*ა) კრანიალურ მიდამოში;

ბ) თორაკალურ მიდამოში;

გ) აბდომინალურ მიდამოში;

დ) ლუნდულების მიდამოში.

633. ომფალოპაგი დიაგნოსტიკურდება გყუპების შერწყმისას:

ა) კრანიალურ მიდამოში;

ბ) თორაკალურ მიდამოში;

*გ) აბდომინალურ მიდამოში;

დ) ლუნდულების მიდამოში.

634. გავა-კუდუსუნის ტერატომის ექსტრუქტურა შეიძლება იყოს:

ა) კისტოზური;

ბ) სოლიდური;

- გ) კისტოზურ-სოლიდური;
- დ) სოლიდურ-კისტოზური;
- *ე) ყველა პასუხი სწორია.

635. ორსულობის 20 კვირის შემდგომ საშვილოსნოს არტერიებში სისხლის ნაკადის სიჩქარის ნორმალური მრუდები ხასიათდება:

- ა) სისტოლა-დიასტოლური შეფარდების მაღალი რიცხოვრივი მაჩვენებლებით;
- ბ) სისხლის ნაკადის დიასტოლური კომპონენტის დაბალი რიცხოვრივი მაჩვენებლებით;
- *გ) სისხლის ნაკადის დიასტოლური კომპონენტის მაღალი რიცხოვრივი მაჩვენებლებით;
- დ) აღრეული დიასტოლის ფაზაში დიკროტული ორმოს არსებობით.

636. ორსულობის მესამე ტრიმესტრში ნაყოფის კრიტიკული მდგომარეობის დოპლერმეტრიული მაჩვენებლებია:

- ა) საშვილოსნოს არტერიებში სისხლის ნაკადის სიჩქარეების მრუდების სისტოლა-დიასტოლური შეფარდების მაღალი რიცხოვრივი მაჩვენებლები;
- *ბ) ჭიპლარის არტერიაში დიასტოლური სისხლის ნაკადის ნულოვანი და უარყოფითი მაჩვენებლები;
- გ) ჭიპლარის არტერიაში დიასტოლური სისხლის ნაკადის მაღალი რიცხოვრივი მაჩვენებლები;
- დ) ჭიპლარის არტერიაში სისხლის ნაკადის სიჩქარეების მრუდების სისტოლა-დიასტოლური შეფარდების მაღალი რიცხოვრივი მაჩვენებლები.

637. მაღალი პერინატალური რისკის ორსულებში პირველი დოპლერმეტრიული კვლევის (სისხლის ნაკადის შეფასება საშვილოსნოს არტერიებსა და ჭიპლარის არტერიაში) ჩატარების ოპტიმალური პერიოდია:

- ა) 10-13 კვირა;
- ბ) 14-16 კვირა;
- *გ) 20-24 კვირა;
- დ) 28-32 კვირა.

638. დროული და გადაწყვეტილი ორსულობის შემთხვევაში საშვილოსნო-პლაცენტური და ნაყოფის სისხლის მიმოქცევის შესწავლას მაღალი დიაგნოსტიკური ღირებულება:

- ა) აქვს;
- *ბ) არ აქვს.

639. პესტომის პროგნოზირების და სიმძიმის ხარისხის განსაზღვრისთვის სისხლის მიმოქცევის დოპლერმეტრიულ კვლევას აქვს მაღალი დიაგნოსტიკური ღირებულება:

- *ა) ორსულის საშვილოსნოს არტერიაში;
- ბ) თეძოს გარეთა არტერიაში;
- გ) ჭიპლარის არტერიაში;
- დ) ნაყოფის აორტაში;
- ე) ნაყოფის თავის გვინის შუა არტერიაში.

640. ნაყოფის სქესის განსაზღვრა ულტრაბგერითი კვლევით შესაძლებელია:

- ა) 2-4 კვირიდან;
- ბ) 4-6 კვირიდან;
- გ) 8-10 კვირიდან;
- *დ) 18-20 კვირიდან;
- ე) ორსულობის ნებისმიერ პერიოდში

641. საშვილოსნოს გარე ორსულობის წამყვანი ულტრაბგერითი ნიშანია:

- ა) საშვილოსნოს უკანა სივრცეში სითხის გაჩენა;
- ბ) საშვილოსნოს განის წინა-უკანა ზომის გაზრდა;
- გ) "M-ექს" სისქის მაგება 15 მმ-ზე მეტად;
- *დ) პათოგნომური ულტრაბგერითი ნიშანი არ არის.

642. ნაყოფის მუცელშიდა სიკვდილის ძირითადი ულტრაბგერითი ნიშანია:

- ა) მცირეწელიანობა;
- ბ) ნაყოფის მოძრაობითი აქტიურობის არარსებობა;
- გ) ქალას ძვლების დეფორმაცია;
- *დ) გულისცემის არარსებობა;
- ე) ყველა პასუხი მცდარია.

643. ფეტომეტრიის აუცილებელი მაჩვენებლებია:

- ა) თავის ბიპარიეტული ზომა;
- ბ) მუცლის წინა-უკანა ზომა;
- გ) ბარძაყის ძვლის სიგრძე;
- *დ) ყველა პასუხი სწორია;

644. ნაყოფის შარდის გამოყოფი გზების ობსტრუქციის დიაგნოსტიკური კრიტერიუმებია:

- ა) ჭარბწყლიანობა;
- ბ) მცირეწყლიანობა;
- გ) საშარდე გზების შევიწროება ობსტრუქციის ზემოთ;
- დ) საშარდე გზების შევიწროება ობსტრუქციის ქვემოთ;
- *ე) საშარდე გზების გაფართოება ობსტრუქციის პროქსიმალურად.

645. ნაყოფის არაიმუნური წყალმანკის ულტრაბგერითი ნიშანია:

- ა) ჭარბწყლიანობა;
- ბ) გამოხატული კანქვეშა შეშუპება;
- გ) პლაცენტის გასქელება;
- დ) ასციტი, ჰიდროთორაქსი, ჰიდროპერიკარდიუმი;
- *ე) ყველა პასუხი სწორია.

646. ქორიონის ულტრაბგერითი ვიზუალიზაცია შესაძლებელია:

- ა) ორსულობის 1-2 კვირიდან;
- ბ) 3-4 კვირიდან;
- გ) 5 კვირიდან;
- დ) 6 კვირიდან;
- *ე) 7-8 კვირიდან.

647. ნორმალურად განლაგებული პლაცენტის ნაადრევი აცლის (აშრეების) ულტრაბგერითი კრიტერიუმია:

- ა) ჭარბწყლიანობა;
- ბ) პლაცენტის წინამდებარეობა;
- გ) პლაცენტის გათხელება;
- *დ) რეგროპლაცენტარული ჰემატომის წარმოქმნა;

648. ჭიპლარის სისხლძარღვები ნორმაში წარმოდგენილია:

- ა) ერთი არტერიით და ერთი ვენით;
- ბ) ერთი არტერიით და ორი ვენით;
- გ) ორი არტერიით და ორი ვენით;
- *დ) ორი არტერიით და ერთი ვენით;

649. მშობიარობის შემდგომ საშვილოსნოს ინვოლუციის ულტრაბგერითი შეფასებისთვის ყველაზე ნიშანდობლივია შემდეგი განზომილება:

- ა) საშვილოსნოს წინა-უკანა ზომა;
- ბ) საშვილოსნოს პერიმეტრი;
- *გ) საშვილოსნოს მოცულობა;
- დ) საშვილოსნოს ყელის სიგრძე;
- ე) საშვილოსნოს ტანის სიგრძე.

650. რომელი კისტები შეიძლება გამოვლინდეს საკვერცხეში ბუშგნამქერის დროს?

- ა) ფოლიკულური;
- ბ) ენდომეტრიული;
- გ) ერთმხრივი ლუთეინური;
- *დ) ორმხრივი თეკალუთეინური;
- ე) ჰიდატიდი.

ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა გინეკოლოგიაში

651. გრანსაბდომინალური ულტრაბგერითი კვლევისას შარდის ბუშგის ავსება საჭიროა: 1) მცირე მენჯის დრუდან აირებით სავსე ნაწლავის მარჯვენის გამოსაღვენად; 2) აკუსტიკური ფანჯრის შესაქმნელად; 3) შიდა სასქესო ორგანოების ნორმალური ანატომიური ურთიერთგანლაგების შესაფასებლად; 4) სავსე შარდის ბუშგის გამოყენება კისტოზური წარმონაქმნის ეგალონის სახით;

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- *ე) 1;2;4

652. გრანსვაგინალური კვლევისათვის გამოყენებული გაღამწოდის სიხშირეა:

- ა) 3,5-5,0 მგჰ;
- *ბ) 5,0-7,0 მგჰ;
- გ) 2,5-3,5 მგჰ.

653. რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი გრანსვაგინალური გამოკვლევისათვის პაციენტის მომზადებაში:

- ა) პაციენტის მღებარეობა;
- ბ) შარდის ბუშტის ალექვატური ავსება;
- გ) ლაბალსისშირიანი გაღამწოდის არჩევა;
- *დ) შარდის ბუშტის დაცლა.

654. გრანსვაგინალური გამოკვლევის ძირითადი ნაკლია:

- ა) გაღამწოდის დამცველი გარსის გამოყენების აუცილებლობა;
- *ბ) სკანირების ზონის შეზღუდვა;
- გ) გაღამწოდის უშუალო კონტაქტი გამოსაკვლევ ორგანოსთან.

655. გრანსვაგინალური ექოგრაფია ნაკლებ ინფორმატიულია:

- ა) ენდომეტრიუმის ჰიპერპლაზიური პროცესების დროს;
- ბ) საშვილოსნოს გარე ორსულობისას;
- გ) სუბსეროზული მიომისას;
- დ) შიდა ენდომეტრიომისას;
- *ე) საკვერცხის დიდი ზომის წარმონაქმნების არსებობისას.

656. რეპროლუქციული ასაკის პაციენტებში საშვილოსნოს ტანის სიგრძის ნორმატიული მაჩვენებელია:

- ა) 20-41 მმ;
- ბ) 30-59 მმ;
- *გ) 40-60 მმ;
- დ) 50-80 მმ;
- ე) 50-90 მმ.

657. რეპროლუქციული ასაკის პაციენტებში საშვილოსნოს ტანის წინა-უკანა ზომის ნორმატიული მაჩვენებელია:

- ა) 15-30 მმ;
- ბ) 20-40 მმ;
- *გ) 30-42 მმ;
- დ) 40-50 მმ;
- ე) 45-55 მმ.

658. რეპროლუქციული ასაკის პაციენტებში საშვილოსნოს განივი ზომის ნორმატიული მაჩვენებელია:

- ა) 30-42 მმ;
- ბ) 35-50 მმ;
- გ) 40-75 მმ;
- *დ) 45-62 მმ;
- ე) 40-80 მმ.

659. საშვილოსნოს ტანის ზომები დამოკიდებულია პაციენტის ასაკზე და ანამნეზში ორსულობების არსებობაზე. ჩამოთვლილი მაჩვენებლებიდან რომელი შეესაბამება 19 წლის ქალის (რომელიც ორსულად არ ყოფილა) საშვილოსნოს ზომებს:

- ა) 60x40x55 მმ;
- ბ) 55x38x50 მმ;
- *გ) 48x35x45 მმ;

660. რეპროლუქციული ასაკის მრავალჯერ ნამშობიარები ნორმალური მიომეტრიუმის მქონე ქალის საშვილოსნოს სიგრძეა 73 მმ:

- ა) საშვილოსნოს ტანის სიგრძე გაზრდილია;
- ბ) შემცირებულია;
- *გ) შეესაბამება ასაკს და მდგომარეობას.

661. რეპროლუქციული ასაკის ქალებში საშვილოსნოს ყელის სიგრძის შეფარდება ტანის სიგრძესთან არის:

- ა) 1:1;
- *ბ) 1:2;
- გ) 1:4;
- დ) 1:5.

662. მცირე მენჯის ავთვისებიანი სიმსივნის რეციდივის ძირითადი ულტრაბგერითი დიაგნოსტიკური კრიტერიუმია:

- ა) მცირე მენჯის ღრუში სითხის გამოვლენა
- *ბ) მცირე მენჯის ღრუშუ დამატებითი მოცულობითი წარმონაქმნის გამოვლენა
- გ) შარდის ბუშტის დეფორმაცია
- დ) შარდის ბუშტის კედლების გასქელება

663. საკვერცხის ენდომეტრიული კისკის დიფერენცირება ულტრაბგერითი კვლევისას საჭიროა

- ა) ბადექონის უსეელომიქსომისაგან
- ბ) თირკმლის მენჯში დისკოპიისაგან მისი ჰიდრონეფროზული ტრანსფორმაციით
- გ) შილა დამზურავი კუნთის ულტრაბგერითი გამოსახულებისაგან
- *დ) ყველა პასუხი სწორია

664. გოფობლასტური დაავადების მკურნალობის დაწყებიდან რა დროში განიცდის რეგრესიას თეკალუთინური კისტები

- ა) 1-2 კვირა
- ბ) 4-5 კვირა
- გ) 6 კვირა
- *დ) 2-4 კვირა

665. გაერცვლებული რეტროცერვიკალური ენდომეტრიოზი ვლინდება როგორც:

- *ა) საშუალო ექოგენობის წარმონაქმნი არსწორი კონტურებით და ფიჭისებრი სტრუქტურით
- ბ) სოლიდური სტრუქტურის წარმონაქმნი
- გ) კისტოზური სტრუქტურის წარმონაქმნი
- დ) სითხე მცირე მენჯის დრეში

666. საშვილოსნოს M-ექსცენტრული განლაგება ვლინდება:

- ა) სეკრეტორულ ფაზაში
- ბ) მენსტრუაციის დროს
- *გ) შინაგანი ენდომეტრიუმის დროს
- დ) ყველა პასუხი სწორია

667. რეპროდუქციული ასაკის პაციენტებში მენსტრუაციის წინ შეუცვლელი საშვილოსნოს M-ექოს მაქსიმალური რიცხობრივი მახველებელი ტრანსაბდომინალური კვლევით შეადგენს:

- ა) 7 მმ-ს
- ბ) 10 მმ-ს
- *გ) 15 მმ-ს
- დ) 20 მმ-ს

668. აღრული პროლიფერაციის ფაზაში ნორმალური საშვილოსნოს M-ექის სისქე არ აღემატება

- ა) 2 მმ-ს
- *ბ) 6 მმ-ს
- გ) 10 მმ-ს
- დ) 12 მმ-ს

669. საშვილოსნოს ფიზიოლოგიური მდებარეობის ვარიანტებია:

- ა) ანტივერსიო;
- ბ) ანტიფლექსიო;
- გ) ლეტროვერსიო
- დ) ლეტროფლექსიო;
- ე) შუალედური მდებარეობა;
- *ვ) ყველა პასუხი სწორია.

670. ტრანსაბდომინალური კვლევით შეუცვლელი საშვილოსნოს მილები ვლინდება:

- ა) ჰიპოექოგენური წარმონაქმნების სახით;
- ბ) ჰიპერექოგენური წარმონაქმნების სახით;
- გ) ანექოგენური წარმონაქმნების სახით;
- დ) საშუალო ექოგენობის წარმონაქმნების სახით;
- *ე) არ ვიმუქალიბდება.

671. საშვილოსნოს ტანის გვერდით კიდეტან სისხლძარღვოვანი წნულის ვიზუალიზაცია შეესაგყვისება:

- ა) არკუატულ სისხლძარღვებს;
- *ბ) საშვილოსნოს არტერიებს და ვენებს;
- გ) თეძოს გარეთა არტერიებს;
- დ) თეძოს შიგნითა ვენებს.

672. მცირე მენჯის ორგანოების ულტრაბგერითი კვლევისას საკვერცხეები ჩვეულებრივ ვიზუალიზდება:

- ა) საშვილოსნოს და მენჯის გვერდით კედელს შორის;
- ბ) საშვილოსნოს უკან;
- გ) საშვილოსნოს ფუძის მიდამოში;
- *დ) სწორია ყველა

673. ულტრაბგერითი კვლევისას რეპროდუქციული ასაკის ქალის საკვერცხეების სიგრძივი ზომა ნორმაში არ აღემატება:

- *ა) 40 მმ-ს;
- ბ) 45 მმ-ს;
- გ) 50 მმ-ს;
- დ) 55 მმ-ს.

674. ულტრაბგერითი კვლევისას პრეოვულაციური ფოლიკულის საშუალო დიამეტრია:

- ა) 10-14 მმ;
- ბ) 12-15 მმ;
- გ) 14-16 მმ;
- *დ) 25-32 მმ.

675. ოვულაციის პროგნოზულ ულტრაბგერით ნიშანს წარმოადგენს:

- ა) 17 მმ და მეტი დიამეტრის მქონე ლომინანტური ფოლიკულის არსებობა;
- ბ) ლომინანტურ ფოლიკულში კვერცხუჯრედის შემცველი ბორცვაკის არსებობა;
- გ) ორმაგი კონტური ლომინანტური ფოლიკულის გარშემო;
- დ) ლომინანტური ფოლიკულის ფრაგმენტული გასქელება, არასწორი შიდა კონტური;
- *ე) ყველა პასუხი სწორია.

676. ოვულაციის ექოგრაფიულ ნიშნად ითვლება:

- *ა) საშვილოსნოს უკანა სივრცეში თავისუფალი სითხის ვიზუალიზაცია;
- ბ) 10მმ და მეტი დიამეტრის მწიფე ფოლიკულის გამოვლენა;
- გ) ენდომეტრიუმის გასქელება;
- დ) საშვილოსნოს ზომების შემცირება.

677. საშვილოსნოს უკანა სივრცეში თავისუფალი სითხის გამოვლენა ნორმაში უხშირესად შეესაბამება:

- ა) პროლიფერაციულ ფაზას;
- *ბ) პერიოვულაციურ პერიოდს;
- გ) სეკრეტორულ ფაზას;
- დ) სისხლდენის ფაზას;

678. ულტრაბგერითი კვლევით საკვერცხის ფოლიკულური აპარატი არ ვლინდება:

- ა) ქალებში, რომელთა პოსტმენოპაუზური პერიოდი 5 წელს აღემატება;
- ბ) პაციენტებში მშობიარობის შემდგომი ჰიპოპიგუიტრიზმით;
- გ) პაციენტებში საკვერცხეების განლევის სინდრომით;
- *დ) ყველა პასუხი სწორია.

679. გრანსფაგინალური ულტრაბგერითი კვლევით რომელი სტრუქტურების ფრონტალური გამოსახულების დიფერენცირება საჭირო საკვერცხის ფოლიკულურ აპარატთან:

- ა) თემოს შიგნითა სისხლძარღვები;
- ბ) საკვერცხის სისხლძარღვები;
- გ) საშვილოსნოს არტერიები და ვენები;
- დ) წვრილი ნაწლავის მარჯუენი თხიერი შიგთავსით;
- *ე) ყველა პასუხი სწორია.

680. პოსტმენოპაუზური პაციენტების ულტრაბგერითი კვლევისას ყველაზე რთულია შემდეგი შეუცვლელი ორგანოს ვიზუალიზაცია:

- ა) საშვილოსნოს ყელი;
- ბ) საშვილოსნოს ტანი;
- *გ) საკვერცხეები.

681. საშვილოსნოს განვითარების ანომალიის გამოვლენის შემთხვევაში აუცილებელია გამოვიკვლიოთ:

- ა) ღვიძლი;
- ბ) ელენთა;
- *გ) თირკმლები;
- დ) სხვა ორგანოების დამატებითი გამოკვლევა საჭირო არ არის, რადგან აღნიშნული მანკი იმოლირებულია.

682. მიუთითეთ მიუღერის აგენეზიის ვარიანტები:

- ა) ორრქიანი საშვილოსნოს;
- ბ) საშვილოსნოს ტიხრის არსებობა;
- გ) უნაგირისებრი საშვილოსნო;
- *დ) საშოს ატრეზია.

683. არამოუქციონირე რუდიმენტური რქის დიფერენცირება საჭიროა:

- *ა) სუბსერომული მიომეგობური კვანძისაგან;
- ბ) საკვერცხის მწიფე ტერაგომისაგან;
- გ) ენდომეტრიული კისტისაგან;
- დ) ყვითელი სხეულის კისტისაგან.

684. მოფუნქციონირე, მაგრამ საშვილოსნოს ღრუსთან დაუკავშირებელი რუდიმენტული რქის ულტრაბგერითი დიფერენცირება სააიროა:

- ა) ყვითელი სხეულის კისტისაგან;
- ბ) ენდომეტრიული კისტისაგან;
- გ) ტუბო-ოვარიული აბსცესისაგან;
- *დ) ყველა პასუხი სწორია.

685. გენიტალური ინფანტილიზმის და საშვილოსნოს ჰიპოპლაზიის ძირითადი ულტრაბგერითი დიფერენციულ-დიაგნოსტიკური კრიტერიუმია:

- ა) სწორად ფორმირებული საშვილოსნოს განის და ყელის ზომების შემცირება;
- *ბ) საშვილოსნოს განის და ყელის სიგრძის შეფარდების ცვლილება მათი ზომების შემცირებასთან ერთად;
- გ) დიფერენციული დიაგნოსტიკის ჩატარება აუცილებელი არ არის, რადგან ეს ორი პათოლოგია სინონიმებია.

686. სუბმუკოზური და ინტერსტიციური (ცენტრიპეტალური ზრდით) მიომეგობური კვანძის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკისათვის კვლევის ჩატარება სააიროა:

- ა) პროლიფერაციულ ფაზაში;
- ბ) პერიოფულაციურ პერიოდში;
- *გ) სეკრეტორულ ფაზაში;
- დ) სისხლდენის ფაზაში.

687. მრგვალი ფორმის წარმონაქმნი მიომეტრიუმში, ერთგვაროვანი, ჰიპოექოგენური სტრუქტურით, ჰიპერექოგენური არშიით, მიუთითებს შემდეგი პათოლოგიის არსებობაზე:

- ა) ლიპომა;
- ბ) ნაბოგის კისტა;
- გ) აღენომეგობური სიმსივნე;
- *დ) მიომა.

688. საშვილოსნოს გაზრდის უხშირესი მიზეზია:

- ა) ქრონიკული ენდომეტრიტი;
- ბ) საშვილოსნოს შიგა კონტრაცეპტივის არსებობა;
- გ) შიგა ენდომეტრიოზი;
- *დ) მიომა.

689. მიუთითეთ მიომეგობური კვანძის ნეკროზის ულტრაბგერითი ნიშნები:

- *ა) კვანძში ანექოგენური და ჰიპოექოგენური ზონების არსებობა;
- ბ) ერთეული ჰიპერექოგენური ჩანართების არსებობა;
- გ) ჰიპერექოგენური არშია მიომეგობური კვანძის გარშემო;
- დ) მიომეგობური კვანძის მომაგებული ექოგენობა.

690. ლიპომეგობური კვანძი ხასიათდება შემდეგი ულტრაბგერითი სურათით:

- *ა) მკვეთრად შემოსაზღვრული, მრგვალი ფორმის ჰიპერექოგენური წარმონაქმნი;
- ბ) ოვალური ფორმის ჰიპოექოგენური წარმონაქმნი;
- გ) წარმონაქმნი ერთეული ჰიპოექოგენური ჩანართებით;
- დ) ჰიპერექოგენური არშიის არსებობა წარმონაქმნის ირგვლივ.

691. შინაგანი ენდომეტრიოზის ულტრაბგერითი ნიშნებია:

- ა) მიომეტრიუმში ექონეგაციური ღრუს არსებობა;
- ბ) საშვილოსნოს წინა-უკანა ზომის გაზრდა;
- გ) მიომეტრიუმის წინა და უკანა კედლის სისქის ასიმეტრია;
- დ) მიომეტრიუმში არსებული ღრუების ირგვლივ ჰიპერექოგენური ქსოვილის არსებობა;
- *ე) ყველა პასუხი სწორია.

692. მიუთითეთ შინაგანი ენდომეტრიოზის კვანძოვანი ფორმის ყველაზე დამახასიათებელი ნიშნები:

- ა) საშვილოსნოს კედლის სისქეში მრგვალი ან ოვალური ფორმის მომაგებული ექოგენობის ზონის არსებობა;
- ბ) უმნიშვნელო ზომის ანექოგენური ჩანართების ან კისტოზური ღრუების არსებობა, რომლებიც შეიცავს წვრილდისპერსიულ შენაწონს;
- გ) წარმონაქმნი სწორი, მაგრამ ყოველთვის არამკაფიო კონტურები;
- დ) პათოლოგიურ კერაში საშუალო ან დაბალი ექოგენობის ახლოს განლაგებული ხაზოვანი სტრუქტურები, რომლებიც ორიენტირებულია სკანირების სიბრტყის პერპენდიკულარულად;

*ე) ყველა პასუხი სწორია.

693. ქრონიკული ენდომეტრიტის დამახასიათებელი ულტრაბგერითი ნიშანია:

- ა) საშვილოსნოს ღრუს გაფართოება;
- ბ) საშვილოსნოს ღრუს ჰიპოექოგენური შიგთავსის ფონზე ჰიპერექოგენური ჩანართების არსებობა;
- გ) M-ექოს არასწორი გარეთა კონტური ჰიპერექოგენური ჩანართებით პერიფერიაზე;
- *დ) ყველა პასუხი სწორია.

694. M-ექოს სისქის ნორმატიული მაჩვენებელი პოსტმენსტრუალური ასაკის ქალებში (5 წელზე მეტი) არ აღემატება:

- ა) 1 მმ-ს;
- ბ) 3 მმ-ს;
- *გ) 5 მმ-ს;
- დ) 7 მმ-ს;

695. ენდომეტრიუმის ჰიპერპლაზიისათვის დამახასიათებელია:

- ა) M-ექოს გასქელება;
- ბ) M-ექოს არაერთგვაროვანი სტრუქტურა;
- გ) M-ექოს წყვეტილი კონტური;
- *დ) ყველა პასუხი სწორია.

696. ენდომეტრიუმის შუალედური M-ექოს სისქის მაგება შესაძლებელია:

- ა) ექოტოპიური ორსულობის დროს;
- ბ) საშვილოსნოსშიდა კონტრაცეპციისას პროგესტერონით;
- გ) ყვითელი სხეულის პერსისტირებული კისტის დროს;
- დ) გროფობლასტური დაავადების დროს;
- *ე) ყველა პასუხი სწორია.

697. საშვილოსნოს ღრუში საშვილოსნოსშიდა კონტრაცეპტივის არსებობაზე (ლიპსის მარყუქის სახით) მიუთითებს შემდეგი ულტრაბგერითი ნიშანი:

- ა) საშვილოსნოს ღრუს გაფართოება ჰიპოექოგენური შიგთავსით;
- ბ) ენდომეტრიუმის გასქელება;
- *გ) M-ექოს უკან შთანთქმის ხაზოვანი ეფექტები;
- დ) ოვალური ფორმის საშვილოსნოს M-ექო.

698. საშვილოსნოსშიდა კონტრაცეპტივის ვიზუალიზაცია ცერვიკალურ არხში მიუთითებს:

- ა) მის ნორმალურ განლაგებაზე;
- ბ) მის დაბალ განლაგებაზე;
- გ) პერფორაციაზე;
- *დ) მის ექსპულსიაზე.

699. აქ ჩამოთვლილი რომელი დაავადების ულტრაბგერითი გამოსახულებასთან არ საჭიროებს გროფობლასტური დაავადება ლიფერენცირებას:

- *ა) აღნომიოზი;
- ბ) ჰემანგიომა;
- გ) სუბმუკოზური მიომური კვანძი დეგენერაციული ცვლილებებით;
- დ) გროფობლასტის ნარჩენი ქსოვილები არასრული აბორტის შემდგომ.

700. საშვილოსნოს ყელის ენდომეტრიუმის და ნაბოტის კისტის ძირითადი დიაგნოსტიკური ნიშანია:

- ა) საშვილოსნოს შიგნითა პირის მიდამოში ანექოგენური სტრუქტურის არსებობა;
- ბ) ანექოგენური ჩანართის გარშემო ჰიპერექოგენური შოლის არსებობა;
- *გ) ჩანართის წვრილდისპერსიული შიგთავსი.

701. გრასნსაბდომინალური ულტრაბგერითი კვლევით საშვილოსნოს დანამატების რეგენციული წარმონაქმნები ხასიათდება:

- *ა) უმნიშვნელო ზომებით, სწორი კონტურებით;
- ბ) დიდი ზომებით, არასწორი კონტურებით;
- გ) არაერთგვაროვანი შინაგანი სტრუქტურა;
- დ) მრგვალი წარმონაქმნი პერიფოკალური ცვლილებებით.

702. საკვერცხის რეგენციული კისტის დამახასიათებელი ულტრაბგერითი ნიშანია:

- ა) თხელი კაფსულა;
- ბ) ბადისებრი შენება;
- გ) ანექოგენური შიგთავსი;
- დ) ქრება დინამიკური მეთვალყურეობის პერიოდში;
- *ე) ყველა პასუხი სწორია.

703. ყვითელი სხეულის კისტის ულტრაბგერითი გამოსახულების დიფერენცირება საჭიროა:

- ა) საკვერცხისეული ორსულობისაგან;
- ბ) ენდომეტრიოიდული კისტისაგან;
- გ) საკვერცხის მწიფე ტერატომისაგან;
- დ) პაპილური ცისტადენომისაგან;
- *ე) ყველა პასუხი სწორია.

704. საკვერცხის რომელი კისტები ერწყმის გროფობლასტურ დაავადებას:

- *ა) თეკალუთიური
- ბ) ყვითელი სხეულის;
- გ) პარაოვარიული;
- დ) ფოლიკულური.

705. საკვერცხის პარაოვარიულ კისტასა და ფოლიკულურ კისტას შორის ძირითადი ულტრაბგერითი დიფერენციალურ-დიაგნოსტიკური კრიტერიუმია:

- ა) წარმონაქმნის ზომები;
- ბ) კელისმიერი კომპონენტის არსებობა;
- გ) კაფსულის არარსებობა;
- *დ) ინტაქტური საკვერცხის ვიზუალიზაცია.

706. სერომოცელეს ულტრაბგერითი გამოსახულება შემდეგნაირია:

- ა) წარმონაქმნი სქელი კედლებით, წვრილდისპერსიული შიგთავსით;
- *ბ) ანექოგენური თხელკედლიანი წარმონაქმნი, რომლის გარეთა კონტური იმეორებს მემბოელი ორგანოების ფორმას;
- გ) წარმონაქმნი მრავლობითი ძგიდეებით და სოლიდურ-კისტოზური შინაგანი სტრუქტურით.

707. სერომოცელეს და პარაოვარიულ კისტას შორის ძირითადი დიფერენციალურ-დიაგნოსტიკური ულტრაბგერითი კრიტერიუმია:

- ა) წარმონაქმნის ზომები;
- ბ) კელისმიერი კომპონენტების არსებობა;
- *გ) კაფსულის არ არსებობა;
- დ) ინტაქტური საკვერცხის ვიზუალიზაცია;
- ე) წარმონაქმნის სტრუქტურა.

708. საკვერცხის ენდომეტრიული უისტის ყველაზე დამახასიათებელი ულტრაბგერითი სურათია:

- ა) ანექოგენური, თხელი ძგიდეებით;
- ბ) ჰიპერექოგენური;
- *გ) ჰიპოექოგენური, წვრილდისპერსიული შენაწონი;
- დ) ჰიპოექოგენური, კელისმიერი კომპონენტებით;
- ე) კისტოზურ-სოლიდური.

709. ენდომეტრიული კისტების ულტრაბგერითი გამოსახულების ვარიანტებია: 1) ჰიპოექოგენური შინაგანი სტრუქტურა წვრილდისპერსიული შენაწონით; 2) ერთგვაროვანი შინაგანი სტრუქტურა მომაგებული ექოგენობით; 3) დისტალური გაძლიერების ეფექტი; 4) კელის ფრაგმენტული გასქელება; 5) შერეული შინაგანი სტრუქტურა;

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- ე) 5
- *ე) 1;2;4

710. საკვერცხეების სიმსივნეები ულტრაბგერითი კვლევით უზშირესად ვლინდება, როგორც:

- *ა) გადიდებული საკვერცხეების სოლიდურ-კისტოზური წარმონაქმნი;
- ბ) საკვერცხეების მრავლობითი კისტოზური წარმონაქმნები;
- გ) საკვერცხის სოლიდურ-კისტოზური წარმონაქმნი უცვლელი ზომებით;
- დ) პროცესები, რომლებიც ცვლის საკვერცხის ზომებს და თან ახლავს მცირე მენჯის ღრუში სითხოვანი შიგთავსის გაჩენა.

711. საკვერცხეების კეთილთვისებიანი წარმონაქმნებისათვის დამახასიათებელია:

- *ა) დაავადების კლინიკური ნიშნების არარსებობა წარმონაქმნის დიდი ზომების შემთხვევაში;
- ბ) სწრაფი გაავთვისებიანება და ადრეული მეტასტაზირება;
- გ) მცირე მენჯის ორგანოების ფუნქციის გამოხატული დარღვევა;
- დ) მათი გაჩენა მენოპაუზის პერიოდში.

712. ჩამოთვლილი ულტრაბგერითი ნიშნებიდან რომელია დამახასიათებელი საკვერცხის სერომოცელის სიმსივნისათვის:

- ა) თხელი კელლები;
- ბ) ძვილები არსებობა;
- გ) ზომები 10-15 სმ ღიაგრძლივით;
- *დ) მრავლობითი ძვილები არსებობა;

713. 10 სმ ღიაგრძლივით, მრგვალი ფორმის, ერთკამერიანი წარმონაქმნი ანექსოგენური შიგთავსით ლოკალიზაცია საკვერცხესა და კვერცხსაგულს შორის. აღნიშნული სურათი შეესაბამება:

- ა) გლუვკელლიანი ცისტადენომას;
- ბ) სეროზულ ცისტადენოკარცინომას;
- *გ) პარაოვარიულ კისტას;
- დ) სეროზოციტს.

714. გლუვკელლიანი სეროზული ცისტადენომა უხშირესად ვლინდება, როგორც:

- *ა) ერთკამერიანი წარმონაქმნი გლუვი შიგა ზედაპირით;
- ბ) მრავალკამერიანი წარმონაქმნი ექსოპოციური შენაწონით;
- გ) მრავალკამერიანი წარმონაქმნი პაპილარული წანაზარლებით;
- დ) მრავალკამერიანი წარმონაქმნი სქელი გიბრებით;

715. მუცინოზური კისტომის განმასხვავებელი ულტრაბგერითი ნიშანია:

- ა) პაპილარული წანაზარლები;
- *ბ) მრავლობითი გიბრები და ექსოპოციური შენაწონი;
- გ) სოლიდური კომპონენტი;
- დ) ერთკამერიანი შენება.

716. ჩამოთვლილი ულტრაბგერითი ნიშნებიდან რომელი არ არის დამახასიათებელი საკვერცხის მუცინოზური ცისტადენომისათვის:

- ა) სიმსივნის ღიაგრძლივით 15-20 სმ;
- ბ) მრავლობითი სხვადასხვა სისქის ძვილები არსებობა;
- გ) კამერების ექსოპოციური შინაგანი შენება;
- *დ) ერთკამერიანი წარმონაქმნი არაერთგვაროვანი შინაგანი სტრუქტურით.

717. საკვერცხის სოლიდური შენების წარმონაქმნის ულტრაბგერითი ნიშანია:

- ა) დისტალური აკუსტიკური გაძლიერება;
- ბ) თხელი, კარგად დიფერენცირებადი კელლები;
- *გ) დისტალური აკუსტიკური ჩრდილი;
- დ) ყველა პასუხი მცდარია.

718. საკვერცხის კიბოს ულტრაბგერითი სტრუქტურა შეიძლება წარმოადგინოს იყოს:

- ა) კისტოზური ერთკამერიანი წარმონაქმნით;
- ბ) კისტოზური მრავალკამერიანი წარმონაქმნით;
- გ) კისტოზურ-სოლიდური წარმონაქმნით;
- *დ) ყველა პასუხი სწორია.

719. საკვერცხის ავთვისებიანი სიმსივნეების დროს საკვერცხის არტერიებში სისხლის ნაკადის სიჩქარეების მრუდები ხასიათდება გამობრუნებული:

- ა) სისტოლური სიჩქარის შემცირებით;
- ბ) რემისტენტობის ინდექსის რიცობრივი მაჩვენებლების გაზრდით;
- *გ) რემისტენტობის მაჩვენებლების შემცირებით;
- დ) დიასტოლური სიჩქარის შემცირებით.

720. ითვლება თუ არა სიმსივნისმილა სისხლმომარაგების გამოვლენის ფაქტი საკვერცხეების სიმსივნეებში კეთილთვისებიანი პროცესის არსებობის კრიტერიუმად:

- ა) ითვლება;
- *ბ) არ ითვლება.

721. საკვერცხის კიბოს შორეული მეტასტაზები უხშირესად ვლინდება:

- ა) ძვლებში;
- ბ) ფილგვებში;
- გ) თავის გვინში;
- *დ) ნაწლავში.

722. ჩამოთვლილი ნიშნებიდან რომელი არ არის დამახასიათებელი დისკერმინომისათვის:

- ა) საკვერცხის სოლიდური შენების ავთვისებიანი გერმინოგენული სიმსივნე;
- ბ) საკვერცხის ერთმხრივი 90%-იანი დამიანება;

*გ) საკვერცხის შერეული სტრუქტურის კეთილთვისებიანი სიმსივნე.

723. საკვერცხის მწიფე ტერატომას შესაძლოა ექონდეს შემდეგი შენება:

- ა) კისტოზური, კელისმიერი ექოპოზიციური კომპონენტით;
- ბ) სოლიდური;
- გ) კისტოზურ-სოლიდური;
- *დ) ყველა პასუხი სწორია.

724. ჩამოთვლილი ნიშნებიდან რომელი არ არის დამახასიათებელი მწიფე ტერატომისათვის:

- ა) აკუსტიკური ჩრდილის არსებობა;
- ბ) ერთმხრივი 80%-იანი დამიანება;
- გ) ყველაზე ხშირად შემბველრი კეთილთვისებიანი გერმინოგენული სიმსივნე;
- *დ) ყველაზე გავრცელებული სიმსივნე 40 წელზე მეტი ასაკის ქალებში.

725. მწიფე ტერატომის ყველაზე დამახასიათებელი ულტრაბგერითი გამოსახულებაა:

- ა) მრავალკამერიანი წარმონაქმნი ერთგვაროვანი ჰიპოექოგენური შინაგანი სტრუქტურით;
- ბ) წარმონაქმნი ანექოგენური შინაგანი სტრუქტურით;
- *გ) ეიპოექოგენური, მრგვალი ფორმის წარმონაქმნი ჰიპერექოგენური ჩანართით და დისკალური აკუსტიკური ჩრდილით.

726. ზოგჯერ მწიფე ტერატომის ულტრაბგერითი დიფერენცირება საჭიროა შემდეგი ექსტრაგენიტალური პათოლოგიისაგან:

- ა) პრესაკრალური ტერატომა;
- ბ) ცხიმოვანი ქსოვილის ლიპომა;
- გ) ნევრინომა;
- *დ) ყველა პასუხი სწორია.

727. საშვილოსნოს სარკომის დროს სიმსივნურ კვანძში სისხლის ნაკადის სიჩქარეების მრუდები ხასიათდება:

- ა) დიასტოლური სიჩქარის შემცირებით;
- ბ) რემისტენტობის ინდექსის რიცხობრივი მაჩვენებლების გაზრდით;
- გ) სისტოლური სიჩქარის გაზრდით;
- *დ) რემისტენტობის ინდექსის რიცხობრივი მაჩვენებლების შემცირებით.

728. საკვერცხის მეტასტაზურ სიმსივნეს შეიძლება თან ახლდეს:

- ა) ასციტი;
- ბ) მეტასტაზები ბაღექონზე;
- გ) მეტასტაზები ლეიძლში;
- *დ) ყველა პასუხი სწორია.

729. კვერცხსაველების დაავადების ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა შესაძლებელია: 1) მათში შიგთავსის არსებობის შემთხვევაში; 2) ყოველთვის; 3) ასციტის დროს; 4) მათი სიმსივნური დამიანების შემთხვევაში;

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- *ე) 1;3;4

730. ულტრაბგერითი კვლევისას საქტოსალპინქსის დიფერენცირება აუცილებელია:

- ა) პარაოვარიული კისტისაგან;
- ბ) სეროზოცელესაგან;
- გ) სეროზული ცისტადენომისაგან;
- დ) პერიგუბარული კისტისაგან;
- ე) მენჯის ვარიკოზულად გაგანიერებული ვენებისაგან;
- *ვ) ყველა პასუხი სწორია.

731. საშვილოსნოს გარე ორსულობის უცყუარი ულტრაბგერითი ნიშანია:

- ა) საშვილოსნოს ზომების გაზრდა;
- ბ) ცრუ სანაყოფე კვერცხი;
- გ) თავისუფალი სითხე საშვილოსნოს უკანა სივრცეში;
- *დ) სანაყოფე კვერცხი ემბრიონით საშვილოსნოს ღრუს გარეთ;

732. გუბოვარიული აბსცესის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია:

- ა) საკვერცხის ზომების გაზრდა;
- *ბ) დანამატების მიდამოში რთული წარმონაქმნის არსებობა კისტოზური კომპონენტის სიჭარბით;
- გ) თავისუფალი სითხე ლუგლასის სივრცეში;
- დ) საშვილოსნოს ზომების ზრდა.

733. ჩამოთვლილი პათოლოგიებიდან რომლის დიფერენცირებაა საჭირო გუბოვარიული აბსცესისაგან:

- ა) ენდომეტრიული კისტა;
